კანონთა და განკარგულებათა კრებული

ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული საბჭოთა რესპუბლიკის მუშათა და გლეხთა მთავრობისა.

1923 წლის აგვისტოს 16	№ 3. განყოფილება პირველი	გამოცემული ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული საკანონმდებლო კომისიის მიერ.

შინაარსი:

მუხ. 18 სამხედრო ჯაშუშობის შესახებ

„ 19. დაწესებულებათა პასუხისმგებელ ხელმძღვანელთა მოვალეობის შესახებ, რათა მიუშვან ხოლმე არაპირდაპირი გადასახადის აგენტები საგანთა აღნუსხვისა და შემოწმებისათვის.

„ 20. სამსახურის საბოლოო ვადის შესახებ.

„ 21. პასუხისმგებელ მომუშავეთა შრომის სასყიდლის შესახებ.

„ 22. საკავშირო საბჭოს მიერ შრომის სფეროში გამოცემული დეკრეტებისა და დადგენილებების შესახებ, რომლებიც უნდა დარჩეს ძალაში შრომის კანონთა კოდექსის სამოქმედოდ შემოღების შემდეგ.

„ 23. შრომის ბრძოლ სარეგისტრაციო შეღავათების შესახებ 1923 წ. თებერვლის 23-დე, შრომის სახალხო კომისარიატის ორგანოების გარეშე.—სამსახურში შესულ წლთელ არმიელთათვის.

„ 24. სახელმწიფო, სახოგადო და კერძო დაწესებულებათა, საწარმოთა და მეურნეობათა მოვალეობის შესახებ, რათა იქონიონ შრომის შეფარდების მომწესრიგებელი დეკრეტები და დადგენილებანი.

„ 25. მუშა-დედუკაცთა საერთაშორისო დღესასწაულის შესახებ.

„ 26. ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. ფიზიკური კულტურის საქმის განვითარების შესახებ. (დადგენ.).

„ 27. ამიერკავკასიის სოც. ფედ. საჩჭ. რესპ. ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული ფიზიკური კულტურის უმაღლესი საბჭოს შესახებ (დებულება).

„ 28. ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული საკანონმდებლო კომისიის შესახებ.

„ 29. კიევის საპირობო ბაზრობაზე აქციზდასადებ საქონლის შეღავათი გადახიდვის შესახებ.

„ 30. რუსეთ-ბელიკანთ ფულის ნიშნების ამიერკავკასიის ეროვნულ ნიშნებზე შეცვლის შესახებ.

„ 31. ამიერკავკასიის ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებათა ... ფოსტის დაცვის შესახებ.

„ 32. რუსეთის დეპეშათა საგენტოს ამიერკავკასიის განყოფილების (ხაკრისტა) შესახებ. (დადგენ.)

„ 33. რუსეთის დეპეშათა საგენტოს ამიერკავკასიის განყოფილების შესახებ. (დებულება).



ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 15 ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წ. თებერვლის 20

18. სამხედრო ჯაშუშობის შესახებ.

რათა რესპუბლიკა დაცულ იქნეს სამხედრო ჯაშუშობისაგან, ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

1.—აღკრძალულია, სათანადო ნებადაურთველად, ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ფარგლებში ყველასათვის—გამოუნაკლისად—ფოტოგრაფიული და სხვა გვარი გადაღება: სამხედრო ნაწილებისა, მათი პარადებისა აღლუმებისა, მეცადინეობისა, სადარაჯოებისა, სამხედრო პოსტებისა, ფორტებისა, სიმაგრეებისა, ნავმურჭლისა, ჰიროპლანებისა, ბატარეებისა, ზარბაზნებისა, ტანკებისა, ჯავშნონსებისა და სხვ. სამხედრო საშუალებათა; შენობებისა, ხიდებისა, ტუნელებისა და სხვა სამხედრო ან სტრატეგიული მნიშვნელობის ნაგებობისა, საგნებისა და ადგილებისა.

აგრეთვე აღკრძალულია, სათანადო ნებადაურთველად, ზემოაღნიშნული ნახატების შენახვა, გამრავლება, გავრცელება და სანახავად გამოფენა.

2.—ამა დადგენილების 1-ლ მუხ. აღნიშნული ნებართვის მიცემის წესრიგი დადგენილ უნდა იქნეს ცალკე კავკასიის არმიის სამხედრო-რევოლიუციონური საბჭოს მიერ შემუშავებული წესის თანახმად.

3.—ამა დადგენილების დარღვევისათვის დამნაშავე პასუხს აგებს სათანადო სამხედრო რევოლიუციონური ტრიბუნალის წინაშე, თანახმად ცალკე რესპუბლიკებში მომქმედი სისხლის სამართლის კანონებისა, სამხედრო საიდუმლოების შეკრეფისა და გამოაშკარავებისათვის.

4.—მეთვალყურეობა ამა დადგენილების გადაუხვევლად აღსრულებისათვის, და დამრღვევთა დეენა დაეკისრება ცალკე რესპუბლიკის საგანგებო კომისიის ორგანოებს, საერთო, რკინისგზისა და საზღვაო მილიციას.

5.—ამა დადგენილების გამოქვეყნებისთანავე ძალასა ჰკარგავს ყოველი დადგენილება, ცალკე რესპუბლიკებში გამოცემული, რამდენადაც იგი ეწინააღმდეგება ამა დადგენილებას.

6. დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო
კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო
კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **მ. პოლის.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1923 წ. თებერვლის 21-ს თარიღის 40 №-ში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 16 ამიერკავკასიის სოც. ფედერ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წ. თებერვლის 20.

19. დაწესებულებათა პასუხისმგებელ ხელმძღვანელთა მოვალეობის შესახებ, რათა მიუშვან ხოლმე არა პირდაპირი გადასახადის აგენტები აქციზდასადებ საგანთა აღნუსხვისა და შემოწმებისათვის.

რათა აცილებულ იქნეს დაბრკოლებანი აქციზდასადებ საგანთა აღნუსხვისათვის, დაევალება ყველა სახელმწიფო და საზოგადოებრივ დაწესებულების პასუხისმგებელ ხელმძღვანელს, რომელ დაწესებულებათა საწყობებშიაც იქონება აქციზდასადები საგნები,—დაუბრკოლებლივ მიუშვან ხოლმე არაპირდაპირი გადასახადის აგენტები ამა საწყობებში აქციზდასადებ საგანთა აღნუსხვისათვის და აგრეთვე დაანებონ მათ გასამინჯავად დავთრები და დოკუმენტები.

ამა დადგენილების აღსრულებლობისათვის დამნაშავე პასუხს აგებს, როგორც სამსახურის დანაშაულობისათვის.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო
კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის ფედერ საბჭ. რესპ. სახალხო
კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **მ. პოლის.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1923 წ. თებერვლის 21-ს თარიღის 40 №-ში.

დადგენილება № 17 ამიერკავკასიის სოციალ. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წლის თებერვლის 20.

20. სამსახურის საბოლოო ვადის შესახებ.

რათა აცილებულ იქნეს დაყოვნება დათხოვნილ მუშა-მოსამსახურეთათვის ანგარიშის გასწორებაში და მათი ინტერესების უზრუნველსაყოფელად—ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭოთა რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

სამსახურის საბოლოო ვადად ყველა კერძო და სახელმწიფო დაწესებულებათა, საწარმოთა, და მეურნეობათა მუშა-მოსამსახურეთათვის უნდა ჩაითვალოს ანგარიშის ფაქტიურად გასწორების დღე.

შენიშვნა. უკეთუ ანგარიშის გასწორება თავის დროზედ ვერ მოხდა თვით დათხოვნილის მიზეზით,—სამსახურის საბოლოო ვადად უნდა ჩაითვალოს მის მიერ მუშაობის ფაქტიურად შეწყვეტის დღე.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **მ. პოლის.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1923 წლის თებერვლის 21-ს თარიღის 40 №-ში.

დადგენილება № 34 ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატისა.

1923 წ. თებერვლის 16.

21. პასუხისმგებელ მომუშავეთა შრომის სასყიდლის შესახებ.

რადგანაც გამოირკვა, რომ ამიერკავკასიის ცალკე რესპუბლიკებში პასუხისმგებელ მომუშავეთა შრომის სასყიდელი სხვა და სხვაა, ამიტომ ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატი **ადგენს**:

დაეყალოს ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატის რწმენებულთ ამიერკავკასიის ფედერაციის თვითეულ რესპუბლიკაში შემოიღონ 1923 წ. თებერვლის 1-დან პასუხისმგებელ მომუშავეთა შრომის სასყიდელი მთლად თანახმად იმ ნორმებისა, რომელიც დაწესებულია ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატის მიერ 1922 წ. აგვისტოს 29 თარიღით და 1 №-რით გამოცემული დადგენილებით—პოლიტიკური, პროფესიონალური, საბჭოთა, საკოოპერაციო და სამეურნეო პასუხისმგებელ მომუშავეთა შრომის სასყიდლის შესახებ.

ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარი **იაკუბოვი**.
ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატის მდივანი **მარტინოვი**.

გამოქვეყნებულია „ზარია ვასტოკა"-ს 1923 წ. თებერვლის 17-ს თარიღის 37 №-ში.

დადგენილება № 35. ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატისა.

1923 წ. თებერვლის 19.

22 საკავშირო საბჭოს მიერ შრომის სფეროში გამოცემული დეკრეტებისა და დადგენილებების შესახებ, რომლებიც უნდა დარჩეს ძალაში შრომის კანონთა კოდექსის სამოქმედოდ შემოღების შემდეგ.

ამიერკავკასიის ფედერაციის ტერიტორიაზე შრომის კანონთა კოდექსის მოქმედების გავრცელების შესახებ ამიერკავკასიის სოც. საბჭ. რესპუბლიკის საკავშირო საბჭოს მიერ 1922 წ. დეკემბრის 30 თარიღითა ტ 70 №-რით გამოცემული დადგენილებისა და ამიერკავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ 1923 წ. თებერვლის 9-ს თარიღით გამოცემული დადგენილების შესასრულებლად —ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

1., ძალაში დარჩეს უცვლელად საკავშირო საბჭოს შემდეგი დეკრეტი და დადგენილება შრომის შესახებ,—რაც არ ეწინააღმდეგება შრომის კანონთა კოდექსს:

1.,—საკავშირო საბჭოს **დეკრეტი**—1922 წ. აგვისტოს 23-სა—„სასეზონო და დროებითი მუშათათვის საშვებულებო კომპენსაციის შესახებ".

2., საკავშირო საბჭოს **დეკრეტი**—1922 წ. აგვისტოს 23-სა—„სპეციალური დაზღვევის ფონდების შესახებ".

3. საკავშირო საბჭოს **დეკრეტი**—1922 წ. სექტემბრის 6-სა—„ამიერკავკასიის რკინისგზის რაიონგარეშე შრომის ინსპექციის შესახებ".

ეროვნული ბიბლიოთეკა

4. საკავშირო საბჭოს **დეკრეტი**—1922 წ. სექტემბრის 9-სა—„შრომის ბირჟის კომიტეტების შესახებ“

5. საკავშირო საბჭოს **დადგენილება**—1922 წ. სექტემბრის 30-ს თარიღისა და 36 №-რისა—„სამრეწველო ნაგებობათა და მათ დამხმარე დაწესებულებათა შენობის პროექტების დამტკიცების წესის შესახებ“.

6. საკავშირო საბჭოს **დადგენილება**—1922 წ. ოქტომბრის 14-ს თარიღისა და 45 №-რისა—„ამერიკაკავასიაში შრომისა, სამუშაო დროისა და სამუშაო ხელფასის აღნუსხვის შესახებ“.

7. საკავშირო საბჭოს **დადგენილება**—1922 წ. ოქტომბრის 14-ს თარიღისა და 46 №-რისა—„შრომის ბირკასთან არსებულ რეინისგზელთა სექციების შესახებ“.

8., საკავშირო საბჭოს **დეკრეტი**—1922 წ. ოქტომბრის 16-სა—„შრომის სტატისტიკის შესახებ ამერიკაკავასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკაში“.

9., საკავშირო საბჭოს **დადგენილება**—1922 წ. ოქტომბრის 16-ს თარიღისა და 47 №-რისა—„ამერიკაკავასიის შრომის სახალხო კომისარიატის შრომის განყოფილებასთან არსებული ცენტრალური სატრანსპორტო სარკინისგზო სექციის შესახებ“.

10., საკავშირო საბჭოს **დადგენილება**—1922 წ. ოქტომბრის 16-ს თარიღისა და 49 №-რისა—„წყლის ტრანსპორტის რაიონგარეშე ინსპექციის შესახებ“.

11., საკავშირო საბჭოს **დეკრეტი**—1922 წ. დეკემბრის 8 სა—„ქვაბების მესაკუთრეთათვის გადასახადის გადახდევინების შესახებ“.

12., საკავშირო საბჭოს **დეკრეტი**—1922 წ. დეკემბრის 8-სა„—სადასაზღვევო ტარიფის საკატეგორიო განაკვეთის შესახებ“.

13., საკავშირო საბჭოს **დეკრეტი**—1922 წ. დეკემბრის 30-სა—„გადასახდელის შესახებ—სოციალური დაზღვევის ვალდებულებისაგან განრიდებისა და სადასაზღვევო წვლილის შეუტანლობისათვის“.

14., საკავშირო საბჭოს **დეკრეტი**—1922 წ. დეკემბრის 30-სა—„მუშა-მოსამსახურეთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ, დროებითი შრომის უნარდაკარგვის გამო, შრომის-უუნარობის პირველი სამის დღის განმავლობაში“.

15., საკავშირო საბჭოს **დეკრეტი**—1922 წ დეკემბრის 30-სა—„სადასაზღვევო საბჭოების გაუქმების შესახებ“.

16., საკავშირო საბჭოს **დადგენილება**—1923 წ. იანვრის 10-ს თარიღისა და მე-2 №-რისა—„შრომის კანონთა გავრცელების შესახებ სახლში მომუშავე მუშებზე“.

II.,—საკავშირო საბჭოს **დეკრეტი**—1922 წ. ივნისის 3-სა—„ანგარიშის გასწორების წიგნაკების შესახებ“—ძალაში დარჩეს შემდეგი შესწორებით:

ა.,—მე-2 მუხლის შენიშვნა გაუქმდეს.

ბ.,—მე-3 მუხლში ამოიშალოს სიტყვები: „იმ შემთხვევაში, როცა კონფლიქტი აღიძრის, განხილვის საფუძვლად მიღებულ უნდა იქნეს დაქირავებულის ჩვენება, უკეთუ ეს ჩვენება დაქირავებლის მიერ დოკუმენტალურად უარყოფილი არ იქნა“.

III., საკავშირო საბჭოს **დეკრეტი**—1922 წ. აგვისტოს 23-სა—„მუშა-მოსამსახურეთა დაქირავებისა და დათხოვნის შესახებ“—ძალაში დარჩეს, ხოლო გაუქმებულ იქნეს მუხლები მე-5 და მე-7.

ეროვნული ბიბლიოთეკა

IV., სოციალური დაზღვევის შესახებ 1922 წ. აგვისტოს 23 თარიღით გამოცემულ დეკრეტთა შორის დარჩეს ძალაში ქვემოდ ჩამოთვლილი დეკრეტები, ხოლო მათში შეტანილ იქნეს შრომის კანონთა კოდექსით გამონაწვევი შესწორებანი.

„მუშა-მოსამსახურეთა სოციალური უზრუნველყოფის შესახებ შრომის დროებითი უუნარობის გამო და სხვაგვარი დამატებითი უზრუნველყოფისა“.

„სოციალური უზრუნველყოფის შესახებ უფუშეგრობის დროს“.

„სოციალური უზრუნველყოფის შესახებ ინვალიდობის გამო და მშრომელის ოჯახის წევრთა უზრუნველყოფის შესახებ მათი მასაზრდოებელის სიკვდილის გამო“.

შენიშვნა: აღნიშნულ დეკრეტებში შეტანილი შესწორებანი ჩამოთვლილია ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატის 1923 წლის იანვრის 17-ს თარიღისა და 48 №-რის ცირკულიარში.

ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარი **ს. იაკუბოვი.**

ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატის მდივანი **მარტინოვი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1923 წ. თებერვლის 22-ს თარიღის 41 №-ში.

დადგენილება № 38 ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატისა.

1923 წ. თებერვლის 26.

23. შრომის ბირჟის სარეგისტრაციო შელავათების შესახებ 1923 წ. თებერვლის 23-დე, შრომის სახალხო კომისარიატის ორგანოების გარეშე, სამსახურში შესულ წითელარმიელთათვის.

წითელი არმიის ორსებობის ხუთის წლის თავის აღსანიშნავად ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

1. ყველა სამხედრო დაწესებულებისა და საწარმოს ყოფილი წითელარმიელი და მოხალისე, რომელიც 1923 წ. თებერვლის 23-დე სამსახურში შევიდა სახელმწიფო, საზოგადო და კერძო საწარმოსა და დაწესებულებაში არა შრომის სახალხო კომისარიატის სათანადო ორგანოს მეშვეობით,—სამუშაოსაგან არ უნდა იქნეს მოხსნილი.

2. საწარმო, დაწესებულება და კერძო მეურნეობა მოვალეა ხსენებულ მუშა-მოხამსახურეთა შესახებ აცნობოს სათანადო შრომის ბირჟას, რომელიც ვალდებულია მოახდინოს მათი შემდგომი რეგისტრაცია და დაადასტუროს მათი ადგილზე დატოვება.

ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარი **იაკუბოვი.**

შრომის ცენტრალური დაცვის გამგე **მიხაილაშ.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1923 წ. თებერვლის 27-ს თარიღის 45 №-ში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წ. თებერვლის 26.

24 სახელმწიფო, საზოგადო და კერძო დაწესებულებათა, საწარმოთა და მეურნეობათა მოვალეობის შესახებ, რათა იქონონ შრომის შეფარდების მომწესრიგებელი დეკრეტები და დადგენილებანი.

რათა უზრუნველყოფილ იქნეს კონტროლი სახელმწიფო, საზოგადო და კერძო დაწესებულებათა, საწარმოთა და მეურნეობათა მიერ შრომის შესახებ გამოცემულ დეკრეტებისა, დებულებებისა და დადგენილებათა აღსრულებისათვის და რათა მშრომელი ელემენტები სათანადოდ გაეცნონ ამ აქტებს, ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი და ამიერკავკასიის სახალხო კომისართა საბჭო **ადგენენ:**

1. ყველა სახელმწიფო, საზოგადო და კერძო დაწესებულება, საწარმო და მეურნეობა, რომელსაც ათზე არა ნაკლები მუშა-მოსამსახურე ჰყავს, მოვალეა იქონიოს თავის სამმართველოში და კონტორაში,—ხოლო სადაც ამისთანა რამ არ იქნება,—მუშისათვის ანგარიშის გასწორების ადგილს,—შრომის კანონთა კოდექსი და „ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატის მოამბე“.—

2. ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატი ვალდებულია მოათავსოს ხოლმე „ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატის მოამბეში“ საკანონმდებლო ორგანოებისა და უწყებათა ყველა დეკრეტი და დადგენილება იმ საკითხების გამო, რომელიც შეეხება შრომის დაცვის მოწესრიგებას (მუშა-მოსამსახურეთა დაქირავებისა და დათხოვნის წესები, სამუშაო ხელფასის დანორმება,—შრომის დაცვა, სოციალური დაზღვევა, კონფლიქტთა გადაწყვეტა და სხვ.)

3. ყველა საერთო სანიტარული და ტექნიკური საავალდებულო დადგენილება, სპეციალური საავალდებულო დადგენილება პროფესიონალური ჰიგიენისა, უშიშროების ტექნიკისა ცალკე წარმოებათა შესახებ და აგრეთვე დადგენილება მუშა-მოსამსახურეთა მიღებისა და დათხოვნის წესების შესახებ, დადგენილება შრომის შეფარდების საფუძველზე წარმომდგარი კონფლიქტების გარჩევის შესახებ,—„ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატის მოამბეში“ გამოცხადებული,—გამოკრულ უნდა იქნეს სამუშაო ადგილს საწარმოში და სახელოსნოში, სადაც ათზე ნაკლები მუშა არ არის.

4. დაწესებულების, საწარმოს და მეურნეობის ხელმძღვანელს და პატრონს, რომელიც გამოიყენებს დაქირავებულ შრომას, უფლება არა აქვს მოიმიზეზოს არცოდნა დეკრეტისა და დადგენილებისა შრომის შესახებ, უკეთუ ეს მოთავსებულია შრომის კანონთა კოდექსში და „ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატის მოამბეში,“ ან ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ოფიციალურ ორგანო „ზარია ვოსტოკა“-ში.

5. კონტროლი დაწესებულებისა, საწარმოსი და მეურნეობის მიერ ამა დადგენილების აღსრულებისათვის დაეკისრება შრომის ინსპექტორებს.

ეროვნული
ბიბლიოთ

6. ამა დადგენილების დარღვევა დაისჯება ამიერკავკასიის რესპუბლიკების სისხლის სამართლის კოდექსებით გათვალისწინებული სასჯელით, რაც დაწესებულია შრომის კანონების დარღვევისათვის.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის
თავმჯდომარე **ამბარცუმიანი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის
მდივანი **ბ. თალიბლი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1923 წლის თებერვლის 28-ს თარიღის 46 №-ში.

დადგენილება № 37 ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატისა.

1923 წ. თებერვლის 26.

25. მუშა-დედაკაცთა საერთაშორისო დღესასწაულის შესახებ.

მუშა-დედაკაცთა საერთაშორისო დღესასწაულის აღსანიშნავად ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატი ადგენს:

მუშა-დედაკაცთა საერთაშორისო დღესასწაულის დღეს, მარტის 8-ს, ამიერკავკასიის ფედერაციის ტერიტორიაზე მყოფ ყველა, როგორც სახელმწიფო, ისე კერძო დაწესებულებასა, საწარმოსა და მეურნეობაში მეცადინეობა შეწყვეტილ იქნეს მუშაობის გათავების ჩვეულებრივ დროზე ორი საათით ადრე.

ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარი **იაკუბოვი.**

ამიერკავკასიის შრომის სახალხო კომისარიატის მდივანი **მარტინოვი.**

გამოცხადებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1923 წ. მარტის 1-ს თარიღის 47 №-ში.

დეკრეტი ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა.

26. ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკაში ფიზიკური კულტურის საქმის განვითარების შესახებ.

რათა მუშათა და გლეხთა ახალი თაობის ფიზიკური განვითარების საქმე წესიერად იქნეს დაყენებული და გაერთიანდეს, როგორც სახელმწიფო, ისე საზოგადო ორგანიზაციებისა, ფაბრიკებისა, ქარხნებისა, პროფესიონალური კავშირებისა, წითელ არმიის ნაწილებისა და კომუნისტური ახალგაზრდობის ძალები ამ დარგში,—ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. დაარსებულ იქნეს უწყებათა ზემდგომი ორგანო—ფიზიკური კულტურის უმაღლესი საბჭო,—რომელიც იმოქმედებს თანახმად მისთვის დამტკიცებული დებულებისა.

2. ფიზიკური კულტურის უმაღლესი საბჭო არის ერთად-ერთი სახელმწიფოებრივი ორგანო, რომელიც ხელმძღვანელობს ამერიკაკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკაში ფიზიკური კულტურის საქმეს და აერთიანებს და განსახღვრავს ყველა დაინტერესებული უწყებისა და დაწესებულების მოქმედებას.

3. ამა მოქმედების განსახორციელებლად ცალკე რესპუბლიკებში დაარსებულ იქნეს რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებთან—ფიზიკური კულტურის საბჭონი, რომელნიც ექვემდებარებიან ამერიკაკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებულ ფიზიკური კულტურის უმაღლეს საბჭოს.

4. ფიზიკური კულტურის უმაღლესი საბჭო შესდგება: გადამწყვეტი ხმის უფლებით—სამხედრო უწყებისა და რუსეთის კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირის ამერიკაკასიის საოლქო კომიტეტის ორ-ორი წარმომადგენლისაგან; ამერიკაკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა, რუსეთის კომუნისტური პარტიის ამერიკაკასიის საოლქო კომიტეტისა, სრულიად რუსეთის პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალური საბჭოს ამერიკაკასიის ბიუროსი, რუსეთის კომუნისტური პარტიის ამერიკაკასიის საოლქო კომიტეტის ქალთა განყოფილებისა, აზერბაიჯანის სოც. საბჭ. რესპუბლიკისა სომხეთის სოც. საბჭ. რესპუბლიკისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკის განათლებისა და ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატების თითო წარმომადგენლისაგან და რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული ფიზიკური კულტურის საბჭოების თავმჯდომარეთაგან; ხოლო სათათბიროო ხმის უფლებით—მეცნიერ- სპეციალისტებისა და სპორტსმენებისაგან.

5. ყველა საქმე ფიზიკური განვითარებისა საყოველთაო სწავლების დაწესებულებათაგან გადაეცეს ფიზიკური კულტურის საბჭოებს. საყოველთაო სწავლების დაწესებულებათა კუთვნილი სასპორტო კლუბები, მოედნები და სასპორტო ქონება გადაეცეს ამერიკაკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკაში შემავალ თვითეული რესპუბლიკის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებულ ფიზიკური კულტურის საბჭოს.

6. ფიზიკური კულტურის უმაღლესი საბჭოს და რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული ფიზიკური კულტურის საბჭოების სასხარს შეადგენს: 1., ამერიკაკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და აზერბაიჯანის, სომხეთის და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების მიერ გადადებული დახმარება, 2., ამა დეკრეტის მე-4 მუხ. აღნიშნულ სახელმწიფო დაწესებულებათა და ორგანიზაციათა მიერ გადადებული და აღრიცხვის წესით გამოთხოვილი თანხები და 3., ამაოდენი ადგილებიდან კუთვნილებისამებრ.

7. რესპუბლიკების ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტები უნდა შეუდგენენ, ფიზიკური კულტურის უმაღლესი საბჭოს დებულების თანახმად, ფიზიკური კულტურის საბჭოების მოწყობას, როგორც ცენტრში, ისე ადგილობრივ, რისთვისაც უნდა გამოსცენ სათანადო დადგენილება და დებულება ფიზიკური კულტურის საბჭოებისათვის.—

ამერიკაკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის
თავმჯდომარე **ამბარცუმიანი.**

ამერიკაკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის
მდივანი **ბ. თალიბლი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა-“ს 1923 წლ. მარტის 1-ს თარიღის 47 №-ში.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დ ე ბ უ ლ ე ბ ა.

27. ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული ფიზიკური კულტურის უმაღლესი საბჭოს შესახებ.

1. ფიზიკური კულტურის უმაღლესი საბჭო არის ერთად-ერთი სახელმწიფოებრივი ორგანო ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკაში, რომელიც ხელმძღვანელობს ფიზიკური კულტურის საქმეს და აერთიანებს და განსაზღვრავს ყველა ამ დარგში დაინტერესებული უწყების და ორგანიზაციის მოქმედებას.

საბჭოს უფლებანი.

2. ფიზიკური კულტურის ყველა ქვემდგომი ორგანიზაცია ამიერკავკასიის რესპუბლიკაში ექვემდებარება ფიზიკური კულტურის უმაღლეს საბჭოს სამეცნიერო, სამეთოდო და საორგანიზაციო მხრით. საბჭო საბოლოოდ დაამტკიცებს ფიზიკური კულტურის ყველა ორგანიზაციას, რომელიც დაარსებულ იქნება ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკაში შემავალ რესპუბლიკებში და უფლება აქვს დაშალოს ფიზიკური კულტურის ორგანიზაციები, უკეთუ მაინ მოქმედება არ შეესაბამება ფიზიკური კულტურის მიზნებს.

3. საბჭოს უფლება აქვს უმშვეო ურთიერთობა იქონიოს ყველა უწყების ცენტრალურ ორგანოებთან ფიზიკური კულტურის საკითხების გამო და აქვს აგრეთვე „ვეტო“-ს უფლება, უკეთუ ამა თუ იმ უწყებისა ან ორგანიზაციის მოქმედება არ შეესაბამება პროლეტარული ფიზიკური კულტურის საგანსა და მიზნებს.

4. ფიზიკური კულტურის უმაღლეს საბჭოს აქვს საკუთარი ბეჭედი ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის ბეჭდის გამოსახულებით. საქმის წარმოებისათვის ფიზიკური კულტურის უმაღლეს საბჭოს თავისი აპარატი არა ჰყავს და ისარგებლებს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის კანცელარიის.

5. საბჭოს უფლება აქვს გამოსცეს საკუთარი სახელმძღვანელო ორგანო „ფიზიკური კულტურა ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკაში.“

6. საბჭოს უფლება აქვს,—აზერბაიჯანისა, სომხეთისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკების სახალხო კომისარიატებთან და მათ დაწესებულებებთან შეთანხმებით,—გახსნას ფიზიკური კულტურის სასწავლებლები, როგორც მოსამზადებელი, ისე უმაღლესი.

შენიშვნა: რესპუბლიკებში სათანადო სასწავლებელის ორგანიზაცია მოხდება ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული ფიზიკური კულტურის უმაღლესი საბჭოს წინასწარი თანხმობითა და დამტკიცებით.

საბჭოს მიზნები.

7. ფიზიკური კულტურის უმაღლესი საბჭოს მიზანს შეადგენს: ფიზიკური კულტურის მეთოდების მეცნიერული შემუშავება, სამეცნიერო კონტროლი ფიზიკური განვითარებისათვის და ამა თუ იმ ორგანიზაციის საქმის დაყენება (შე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მუშავება ყოველგვარი პროგრამისა, სასწავლო გეგმისა, პროექტებისა, ნახაზებისა და სხვ.); დამტკიცება წესდებათა, დებულებათა, სასპორტო ორგანიზაციათა; ოლიმპიადების მოწყობა ამერიკავკასიის მასშტაბით; ამერიკავკასიის სტადიონის გამართვა; ფიზიკური განვითარების ინსტრუქტორთა მოსამზადებელი სკოლის დაარსება.

8. საბჭო გამოარკვევს სახელმძღვანელო ღონისძიებათ ფიზიკური კულტურის დამყარებისათვის, ფიზიკური კულტურის პროლეტარული უჯრედების ორგანიზაციისათვის და ფულადი და ნივთიერი სახსრის მოპოებისათვის.

9. ყოველი პროექტი და ღონისძიება ფიზიკური კულტურისათვის დამტკიცებულ უნდა იქნეს ფიზიკური კულტურის საბჭოს მიერ.

10. ფიზიკური კულტურის უმაღლესი საბჭო შესდგება- გადამწყვეტი ხმის უფლებით:—სამხედრო უწყებისა და რუსეთის კომუნისტური ახალგაზრდობის კავშირის ამერიკავკასიის საოლქო კომიტეტის ორ-ორი წარმომადგენლისაგან; ამერიკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა, რუსეთის კომუნისტური პარტიის ამერიკავკასიის საოლქო კომიტეტისა, სრულიად რუსეთის პროფესიონალურ კავშირთა ცენტრალური საბჭოს ამერიკავკასიის ბიუროსი, რუსეთის კომუნისტური პარტიის ამერიკავკასიის საოლქო კომიტეტის ქალთა განყოფილებისა, აზერბაიჯანისა, სომხეთისა და საქართველოს სოც. საბჭ. რესპუბლიკების განათლებისა და ჯანმრთელობის სახალხო კომისარიატების თითო წარმომადგენლისაგან და რესპუბლიკების ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტებთან არსებული ფიზიკური კულტურის საბჭოების თავმჯდომარეთაგან; ხოლო სათათბირო ხმის უფლებით—მეცნიერ-სპეციალისტებისა და სპორტსმენებისაგან.

11. საბჭოს სათავეში სდგას ხუთი წევრისაგან შემდგარი პრეზიდიუმი, რომელსაც აირჩევს პლენუმი და დამტკიცებს ამერიკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი.

საბჭოს სახსარი.

12., ფიზიკური კულტურის უმაღლესი საბჭოს სახსარს შეადგენს: დახმარება სახელმწიფოსი, ფიზიკური განვითარების საქმით დაინტერესებულ ცალკე უწყებათა და ორგანიზაციათა და ანარიცხი ადგილებიდან.

ამერიკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის
თავმჯდომარე **ამბარცუმიანი**

ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის მდივანი
თალიბელი.

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1923 წ. მარტის 1-ს თარიღის 47 №-ში.

დ ე ბ ულ ე ბ ა

28. ამერიკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსებული საკანონმდებლო კომისიის შესახებ.

ა. საკანონმდებლო კომისიის შედგენილობა.

1. ამერიკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელ კომიტეტთან არსდება საკანონმდებლო კომისია, ხუთი წევრისაგან შემდგარი,—ამერიკავკასიის ცენტრა-

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ლური აღმასრულებელი კომიტეტის თავმჯდომარის თავმჯდომარეობით და ოთხი სხვა წევრისაგან, რომელთაც პრეზიდუმი დანიშნავს.

2. საკანონმდებლო კომისიას უფლება ეძლევა სხვა კომპეტენტურ პირთა კოოპტაციისა სათათბირო ხმის უფლებით.

ბ. საკანონმდებლო კომისიის გამგებლობის საბნები.

3. საკანონმდებლო კომისიის გამგებლობის საგანს შეადგენს:

ა. უწყებათა მიერ შეტანილ საკანონმდებლო განზრახულებათა წინასწარი განხილვა და მათ შესახებ დასკვნის წარდგენა.

ბ. განხილვა და გადამუშავება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერკავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ გადაცემული კანონპროექტისა.

გ. კანონთა განმარტება ხელისუფლების ცენტრალური და ადგილობრივი ორგანოების შეკითხვის გამო და ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და სახალხო კომისართა საბჭოს წინადადებით.

შენიშვნა: სახელმძღვანელო წინადადების მიცემას სასამართლო დაწესებულებისათვის სასამართლო პრაქტიკის საკითხების გამო საკანონმდებლო კომისია განახორციელებს ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის უზენაესი სასამართლოს მეშვეობით.

დ. გამოქვეყნება: ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და ამიერკავკასიის სახალხო კომისართა საბჭოს მიერ მიღებული კანონებისა; კანონთა კოებულში გამოსაქვეყნებელი სახალხო კომისარიატთა საკანონმდებლო აქტებისა და დადგენილებებისა; აგრეთვე ამიერკავკასიის მასშტაბით მოქმედი ოფიციალური საზოგადოებისა, საკრედიტო დაწესებულებისა, სინდიკატისა და ტრესტის წესდებისა (დებულებისა); ისეთი შეხართისა და კავშირის წესდებისა, რომელიც მოგების გამორჩენას არ მისდევს და ამიერკავკასიის კოოპერატივების წესდებისა.

4. საკანონმდებლო კომისიას უფლება აქვს წინადადება მისცეს და დაავალოს ამიერკავკასიის ცენტრალურ აღმასრულებელი კომიტეტის ყველა ქვემდებარე ორგანოსა და პირს შეიმუშაოს კანონისა, დეკრეტისა, დადგენილებისა და სხვ. პროექტი, და აგრეთვე მიიწვიოს დაინტერესებულ უწყებათა წარმომადგენელნი საჭირო ინფორმაციის მისაღებად.

5. ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის ყველა ქვემდებარე ორგანო და პირი მოვალეა წარუდგინოს საკანონმდებლო კომისიას მისთვის საჭირო დოკუმენტები, ცნობები და სხვ., საკანონმდებლო კომისიის მიერ დანიშნულ ვადაზე.

6. ყოველგვარ მიმართვას სათანადო დაწესებულებისა და პირისადმი საკანონმდებლო კომისია აწარმოებს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის სეკრეტარიატის მეშვეობით.

გ. საკანონმდებლო კომისიის შტატი.

7. საკანონმდებლო კომისიას ჰყავს შტატი, რომელსაც ამტკიცებს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის პრეზიდიუმი.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის თავმჯდომარე **ამბარცუმიანი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი
კომიტეტის მდივანი **თალიბელი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1923 წ. მარტის 2-ს თარიღის 48 №-ში.

ეროვნული ბიბლიოთეკა

დადგენილება № 19. ამერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წლის თებერვლის 28.

29. კიევის საპირობო ბაზრობაზე აქციზდასადებ საქონლის შელავთით გადაზიდვის შესახებ.

1. ნება დაეთოს სახელმწიფო და საკოოპერატივო დაწესებულებათ გაიტანონ საქონელი კიევის ბაზრობაზე, ბაზრობის კომიტეტის შეკვეთით, აქციზის წინასწარ გადაუხდელად.

2. აქციზი ღირიცხულ იქნეს იმ პირობით, რომ იგი გადახდილ იქნება ამერკავკასიის ფინანსთა სახალხო კომისარიატისათვის ყველა გატანილ აქციზდაადებ საქონელზე მისი რეალიზაციის შემდეგ, ხოლო არა უგვიანეს თვე-ნახევრისა გასატანი მოწმობის მიცემის დღიდან.

3. რათა აქციზის გადახდის გარანტია უცილობელი იყოს, იგი უზრუნველყოფილ უნდა იქნეს იმ საქონლითა, რაც გამგზავნელს ექნება და რაც უნდა შეფასდეს საბითუმო ფასების მიხედვით და 20% მონაკლებით.

4. ზემოაღნიშნული ორგანიზაციები მოვალენი არიან მისცენ წერილობითი გარანტია, რომ თავიანთ თავზე ნაკისრებ ვალდებულებას შეასრულებენ.

5. კერძო ექსპორტიორების მიმართ დადგენილ იქნეს შემდეგი წესი: ადგილობრივი აქციზი მათ უნდა გადაიხადონ საქონლის გატანისათანავე, ხოლო დამატებითი—გასატანი—სამი კვირის შემდეგ გატანის დღიდან.

ამერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისარ-თა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს მმართველი **მ. პოლის.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1923 წლის მარტის 2-ს თარიღის 48 №-ში.

დადგენილება № 20. ამერკავკასიის სოც. ფედერ. საბჭოთა რესპ. სახალხო კომისართა საბჭოსი.

1923 წ. მარტის 1.

30. რესპუბლიკათა ფულის ნიშნების ამერკავკასიის ერთიან ნიშანზე შეცვლის შესახებ.

რათა მთლად ამერკავკასიის სოციალისტური ფედერატიული რესპუბლიკის მოსახლეობას სრული საშუალება მიეცეს შესცვალოს ხმარებაში ქონებული ადგილობრივი ფულის ნიშნები საქართველოსი, აზერბაიჯანისა და სომხეთისა ერთიან ამერკავკასიის ნიშანზე, თანახმად ამერკავკასიის რესპუბლიკათა კავშირის საკავშირო საბჭოს ამა წლის იანვრის 10-ს დეკრეტისა—„ერთიანი ამერ-

ეროვნული ბიბლიოთეკა

კავკასიის ფულის ნიშნის სახმარებლად გამოშვების შესახებ“,—დადგენილ იქნეს შეცვლისათვის დამატებითი თვიური შეღავათიანი ვადა, რომელიც განიგრძობა ამა წლის აპრილის 10-დე.

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო
კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. ფინანსთა
სახალხო კომისარი **ტუმანოვი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპუბლიკის
სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **მ. პოლის.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1923 წ. მარტის 2-ს თარიღის 48 №-ში.

დადგენილება № 21. ამიერკავკასიის სოც. ფედ. საგჭ. რესპუბლიკის სახალხო კომისართა საგჭოსი.

1923 წლის მარტის 3.

31. ამიერკავკასიის ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებათა და გზაში ფოსტის დაცვის შესახებ

რადგანაც ფოსტა-ტელეგრაფის დაწესებულებათა სპეციალური მოწყობილობისა—ტელეგრაფისა, ტელეფონისა და სხვ.,—აგრეთვე ფასეულობისა, კორესპონდენციისა და გზაში ფოსტის დაცვას უაღრესი სახელმწიფოებრივი მნიშვნელობა აქვს,—ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ. სახალხო კომისართა საბჭო ადგენს:

ფოსტა-ტელეგრაფის საწარმოთა და გზაში ფოსტის დაცვა ამიერკავკასიის ფარგლებში დაეკისროს—შინაგან საქმეთა კომისარიატების მეშვეობით—ადგილობრივ მილიციას.

დადგენილება ესე ძალაში შედის დღიდან მისი გამოქვეყნებისა.

ამიერკავკასიის სოც. ფედ.საბჭ. რესპ.
სახალხო კომისართა საბჭოს თავმჯდომარე **მ. ორახელაშვილი.**

ამიერკავკასიის სოც. ფედ. საბჭ. რესპ.
სახალხო კომისართა საბჭოს საქმეთა მმართველი **მ. პოლის**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა“-ს 1923 წ. მარტის 4-ს თარიღის 50 №-რში.

დადგენილება ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა

32. რუსეთის დეპეშათა სააგენტოს ამიერკავკასიის განყოფილების (ზაკროსტა) შესახებ.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტისა და რუსეთის დეპეშათა სააგენტოს შეთანხმების გამო ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი ადგენს:

1. რუსეთის დეპეშათა სააგენტოს ამიერკავკასიის განყოფილება აღიარებულ იქნეს ამიერკავკასიის ყველა რესპუბლიკისათვის **ცენტრალურ** საინფორმაციო ორგანოდ.

2. დაექვემდებაროს რუსეთის დეპეშათა სააგენტოს ამერიკავკასიის განყოფილებას ამერიკავკასიის რესპუბლიკების ტერიტორიაზე ყველა არსებული სააგენტო.

3. რუსეთის დეპეშათა სააგენტოს ამერიკავკასიის განყოფილება (ზაკროსტა) თავის მოქმედებაში იხელმძღვანელებს რუსეთის დეპეშათა სააგენტოს ამერიკავკასიის განყოფილების (ზაკროსტა) დებულებას.

ამერიკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის
თავმჯდომარე **ს. ამბარცუმიანი.**

ამერიკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის
მდივანი **ბ. თალიბლი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1923 წ. მარტის 6-ს თარიღის 51 №-ში.

დ ე ბ უ ლ ე ბ ა.

33. რუსეთის დეპეშათა სააგენტოს ამერიკავკასიის განყოფილების შესახებ.

მუხ. 1.

§ 1. რუსეთის დეპეშათა სააგენტოს ამერიკავკასიის განყოფილების (ზაკროსტა) დანიშნულებაა: იუწყებოდეს ხოლმე მთლად ამერიკავკასიაში პოლიტიკურს, ფინანსიურს, ეკონომიურს, ეკჩრობის და სხვ. ცნობებს, რომლებსაც საზოგადოებრივი ინტერესი აქვს.

§ 2. ამა მუხლის 1 §-ში აღნიშნული მიზნის განსახორციელებლად რუსეთის დეპეშათა სააგენტოს ამერიკავკასიის განყოფილება:

ა., შეჰკრიფავს და გაავრცელებს, მიმოწვდენის ყოველგვარი საშუალებით, ინფორმაციას, რისთვისაც მთლად ამერიკავკასიაში იქონიებს სააგენტოს განყოფილებებს და იყოლიებს კორესპონდენტებს.

ბ., დაიჭერს, ხელშეკრულების სახით, დამოუკიდებელ ურთიერთობას, როგორც სახელმწიფო, ისე საზოგადოებრივ ორგანიზაციებთან და აგრეთვე კერძო პირებთან ამერიკავკასიის ფარგლებში.

გ. დაიწერსებს და მიიღებს სასყიდელს თავისი საინფორმაციო გამოცემებისა და ცნობებისათვის.

შენიშვნა: სააგენტოს ბეჭვდითი ბიულეტენები შეიძლება გამოშვებულ იქნეს საყოველთაო გასაყიდად.

მუხ. 2.

§ 1. რუსეთის დეპეშათა სააგენტოს ამერიკავკასიის განყოფილების (ზაკროსტა) ცენტრალური სამმართველო იმყოფება ქ. ტფილისში.

§ 2 რუსეთის დეპეშათა სააგენტოს ამერიკავკასიის განყოფილებას აქვს საკუთარი ბეჭედი.

მუხ. 3.

§ 1. რუსეთის დეპეშათა სააგენტოს ამერიკავკასიის განყოფილების სათავეში სდგას პასუხისმგებელი ხელმძღვანელი და მისი მოადგილე, რომელნიც დანიშნებიან რუსეთის დეპეშათა სააგენტოს და ამერიკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის შეთანხმებით.

ეროვნული ბიბლიოთეკა

§ 2. სააგენტოს რესპუბლიკანურ განყოფილებათა სათავეში მდგომ პირთ დანიშნავს და გადააყენებს სათანადო რესპუბლიკის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი, რუსეთის დეპეშათა სააგენტოს ამიერკავკასიის განყოფილების წარდგენით.

მუხ. 4.

§ 1. რუსეთის დეპეშათა სააგენტოს ამიერკავკასიის განყოფილება მოეწყობა სამეურნეო აღებ-მიცემობის საფუძველზე.

§ 2. რუსეთის დეპეშათა სააგენტოს ამიერკავკასიის განყოფილების სახსარს შეადგენს:

ა., ინფორმაციაზე ხელისმოწერის სასყიდელი და ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის დახმარება დეფიციტის დასაფარავად.

შენიშვნა. დახმარების რაოდენობას დაადგენს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი.

მუხ. 5.

§ 1. რუსეთის დეპეშათა სააგენტოს ამიერკავკასიის განყოფილებას უფლება ეძლევა—ისარგებლოს მიმოწვდენის ყოველგვარი საშუალების საშედეგათო ტარიფი.

§ 2. სააგენტოს დეპეშები გადაიცემა მთავრობის დეპეშების შემდეგ, ხოლო კერძო დეპეშებზე უწინ. გარნა დეპეშები, რომლებიც სიტყვა-სიტყვით იუწყება მთავრობის დეკრეტებს, განკარგულებათა და საბირჟო ცნობებს, გადაიცემა მთავრობის დეპეშების კატეგორიისამებრ.

მუხ. 6.

§ 1. რუსეთის დეპეშათა სააგენტოს ამიერკავკასიის განყოფილების კორესპონდენტებს იგი აძლევს განსაკუთრებულ საკორესპონდენტო ბილეთს, რომლის ძალითაც მათ უფლება აქვთ თავისუფლად შევიდენ ყველა კარ-ღია ყრილობაზე, კრებაზე და სხდომაზე; აგრეთვე შეუძლიანთ მიიღონ დაწესებულებათა სათავეში მდგომ პირთაგან გამოსაქვეყნებლად საჭირო ცნობები.

მუხ. 7.

§ 1. რუსეთის დეპეშათა სააგენტოს ამიერკავკასიის განყოფილების განყოფილებათა დებულებას შეიმუშავებს ამიერკავკასიის განყოფილება და დაამტკიცებს ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტი.

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის
თავმჯდომარე **ს. ამბარცუმიანი.**

ამიერკავკასიის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტის
მდივანი **ბ. თალიბელი.**

გამოქვეყნებულია „ზარია ვოსტოკა"-ს 1923 წ. მარტის 6-ს თარიღის 51 №-ში.

საქართველოს სახელმ. ბიბლიოთეკა
ეროვნული ბიბლიოთეკა

ნებადარ. ლ და გ. მთ. მართ. № 568. ს. ს. მ. უ ს. პოლ. გან. 1-ლი სტამბა, ჰლეს 91. დაბ. 800.